ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ. გ უ ლ ე ბ ა N36

2018 წლის 21 თებერვალი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქ.ქობულეთში,დ.აღმაშენებლის გამზირი N141-დან დ.აღმაშენებლის გამზირი N143-მდე (მიმდებარედ) დ.აღმაშენებლის გამზირი N141-დან დ.აღმაშენებლის გამზირი N139-მდე (მიმდებარედ) და თამარ მეფის სანაპირო N40-დან დ.აღმაშენებლის გამზირი N137-მდე ამორტიზირებული საკაბელო ელ.გადამცემი ხაზის ნაცვლად ახალი 0,4 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი


ალმაშენებელი
#143
ალმაშენებელი
141
თამარ მეფე
#40
ალმაშენებელი
#139
41.77496, 41.82012